საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორი: მოსამართლე ბ. კ.

მომართვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.02.2019

მომართვის რეგისტრაციის №019/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ბ. ბ.-ს მიმართ, სიითი /№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ბ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **მომართვის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 15 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე - ბ. კ.ს კერძო განჩინება.

1.2 კერძო განჩინების მიხედვით, მოსამართლე ბ. კ.ს წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე №1/XXX-15 ბრალდებულების: მ. ს.-სა და თ. ჯ.-ს მიმართ, რომელზეც მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

1.3 კერძო განჩინების თანახმად, 2019 წლის 30 იანვრის სხდომაზე, რომელიც ჩანიშნული იყო 15:00 საათზე, ბრალდებულ თ. ჯ.-ს ადვოკატი ბ. ბ. მიუხედავად მოსამართლის მიერ არაერთგზის მოწოდებისა, რომ დაეცვა წესრიგი დარბაზში, არ დაემორჩილა მოსამართლის გაფრთხილებებს, რითაც გამოხატა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა. აღნიშნულის გამო, საქართველოს

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად ადვოკატი თავდაპირველად დაჯარიმდა 100 (ასი) ლარის ოდენობით, შემდეგ კი, დაუმორჩილებლობის გაგრძელების გამო ჯარიმის ოდენობა გაიზარდა 200 (ორასი) ლარით. მიუხედავად დაჯარიმების შესახებ განკარგულების გამოტანისა, ადვოკატმა იმავე სხდომაზე კვლავ განაგრძო არასათანადო ქცევა და სასამართლოს უპატივცემულობა, რის გამოც ადვოკატი მოსამართლის განკარგულების საფუძველზე გაძევებული იქნა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

1.4 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ბ. ბ.-მ, ადვოკატისთვის შეუფერებელი ქცევითა და მოსამართლის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობით დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით.

1.5 მოსამართლე ბ. კ.-ს მიერ მიღებული კერძო განჩინებით დადგინდა, რომ ყურადღება მიექცეს ადვოკატ ბ. ბ.-ს მიერ სასამართლო სხდომის დარბაზში გამოვლენილ არასათანადო ქცევას და მის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს, რის თაობაზეც რეაგირების მიზნით კერძო საჩივარი გადმოეგზავნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაციის ეთიკის კომისიას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 8 მარტს ადვოკატმა ბ. ბ.-მ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება.

2.2 ადვოკატის განმარტებით უსაფუძვლოა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბ. კ.-ს 2019 წლის 30 იანვრის განკარგულება სასამართლო დარბაზიდან ადვოკატის გაძევების თაობაზე, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის, წესრიგის არაერთგზის დარღვევისა და მოსამართლის მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის მოტივით, ვინაიდან დაცვის მხარეს არ გამოუჩენია სასამართლოსადმი უპატივცემულობა, არამედ გამოხატავდა სამართლიან პროტესტს უსამართლო ქმედებებზე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მოცემულ საქმეზე დაცვის მხარისათვის აშკარა გახდა, რომ მოსამართლე - ბ. კ.-ს აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი და არის მიკერძოებული, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: მოსამართლე პროცესის მიმდინარეობისას ბრალდების მხარის პროტესტის გარეშე, თვითნებურად ხსნიდა დაცვის მხარის კითხვებს, თვითნებურად აუქმებდა დაცვის მხარის სასარგებლო პასუხებს, ბრალდების მხარისათვის სასარგებლო ინტერპრეტაციას აძლევდა მოწმის ჩვენებას, ახდენდა მოწმის ჩვენების ფალსიფიცირებულ ფორმულირებას და პროკურორებს აძლევდა საშუალებას, რომ ჩართულიყვნენ მოწმის პასუხების ფორმირების პროცესში.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მას შემდეგ რაც, დაცვის მხარემ ამხილა მოსამართლე ბრალდების მხარესთან თანამშრომლობაში, მოსამართლემ დაიწყო სანქციების გამოყენება, უსამართლო ქმედებების გადასაფარად და ადვოკატის ქმედებები იყო ბუნებრივი რეაქცია მოსამართლის მოქმედებებზე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ბ. ბ. არის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის - ბ. კ.ს კერძო განჩინება ეთიკის კომისიამ მიიღო 2019 წლის 15 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წლის 30 იანვარს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ბ. ბ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30.1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ბ. ბ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> *„ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უფლებები“* („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი).
>
> *„ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს“* (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 მუხლი).

5.2. ადვოკატის მიმართ დადგენილი ეს ვალდებულება გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი სტანდარტიდან, რომლის თანახმად „მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას“ (211 მუხლი), წინააღმდეგ შემთხვევაში, წესრიგის დარღვევისთვის მოსამართლეს უფლება აქვს გამოიყენოს შესაბამისი სანქციები (212 მუხლი). ადვოკატი სხვა მოქალაქეების მსგავსად ვალდებულია დაიცვას კანონი და ამ ვალდებულების დაცვას დამატებით უზრუნველყოფს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის მიერ სასამართლოს მიმართ უპატივცემულო ქცევამ შესაძლოა გამოიწვიოს ეთიკური ვალდებულებების დარღვევაც.

5.3. მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატების, როგორც დამოუკიდებელი პროფესიონალების როლი მოიცავს მთელ რიგ მოვალეობებს, განსაკუთრებით მათი ქცევის მხრივ

(*Veraart v. the Netherlands*, no. 10807/04, 30 November 2006; *Coutant v. France* (dec) o. 17155/03, 24.01.2008). დამცველების პროფესიული ქცევა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს - მათ მოეთხოვებათ თავდაჭერილი, პატიოსანი და ღირსეული ქცევა, თუმცა სარგებლობენ ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციების მიხედვით, მათ შორის, დამცველებს ეძლევათ გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილება სასამართლოში გამოყენებული არგუმენტების თვალსაზრისით (*Casado Coca v Spain,* no.15450/89, 24/02/1994; *Steur v. the Netherlands*, no. 39657/98, 28.10.2003).

5.4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განასხვავებს შემთხვევებს, როდესაც დამცველი საკუთარ აზრს აფიქსირებს სასამართლო სხდომათა დარბაზსა ან სხვა გარემოში. „სასამართლო სხდომათა დარბაზში ქცევის დროს, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებამ შეიძლება წამოჭრას მისი კლიენტის სამართლიანი განხილვის უფლების საკითხი. სამართლიანობის პრინციპი ასევე მოქმედებს მხარეთა შორის დაუბრკოლებელი და დაძაბული შეპაექრების სასარგებლოდ. ადვოკატებს გააჩნიათ „საკუთარი კლიენტების ინტერესების გულმოდგინედ დაცვის“ ვალდებულება, რაც ნიშნავს, რომ ზოგჯერ მათ უნდა გადაწყვიტონ, გააპროტესტონ ან გასაჩივრონ თუ არა სასამართლოს მოქმედება“ (*Morice v. France,* no. 29369/10, §136, 23/04/2015).

5.5. ადვოკატის დაცვის გარანტიები აღიარებულია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 38-ე მუხლით, რომლის მიხედვით „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“. თუმცა აღნიშნული ნორმა არ არის შეუზღუდავი ხასიათის და ის შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც ადვოკატი შეურაცხყოფას აყენებს სასამართლო ხელისუფლებას.

5.6. მოსამართლე ბ. კ.-ს მიერ 2019 წლის 30 იანვარს მიღებული კერძო განჩინების მიხედვით, ადვოკატი ბ. ბ. დაჯარიმდა 100 ლარით მოსამართლის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის გამო, რის შემდეგაც დაუმორჩილებლობის გაგრძელების საფუძვლით ჯერ ჯარიმის ოდენობს გაიზარდა 200 ლარით, ხოლო შემდეგ მოსამართლის განკარგულებით ადვოკატი გაძევებული იქნა სასამართლოს სხდომის დარბაზიდან. კერძო განჩინება რეაგირებისათვის გადმოეგზავნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას.

5.7. საქმეში წარმოდგენილია 2019 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომის ოქმი (საქმე №1/XXXX-15). სხდომის ოქმის მიხდვით ადვოკატი ბ. ბ. და პროკურორი გ. მ მოსამართლის მოწოდებების დაუმორჩილებლობის გამო დაჯარიმდნენ 100 – 100 ლარით. სხდომის მიმდინარეობის პროცესში ადვოკატი ბ. ბ. კვლავ დაჯარიმდა 200 ლარით, მას შემდეგ რაც მოსამართლემ მოუწოდა ადვოკატს თავის შეკავებისგან შემდეგი სიტყვებით: „ნუ შემოდიხართ პოლემიკაში, დაწყნარდით ყველაფერი კარგად გავიგეთ. ნუ შემოდიხართ პოლემიკაში თორემ დაგაჯარიმებთ“, აღნიშნულზე ადვოკატმა უპასუხა - „შემოვალ ბატონო მოსამართლე, მთელი პროცესის განმავლობაში, რომ მეჭრება პროკურორი დაკითხვაში ნორმალურია?“. ამის შემდეგ ადვოკატმა განაცხადა, რომ მოსამართლე იზიარებდა პროკურორის პოზიციას მოწმის დაკითხვის დროს და რეაგირებას არ ახდენდა პროკურორის ქმედებებზე: „იმიტომ არ მაძლევთ კითხვების დასმის საშუალებას, რომ თქვენ ხართ მოტივირებული იგივე გზით, რა გზითაც პროკურორები მიდიან ბატონო მოსამართლე!“, რასაც მოჰყვა ადვოკატის გაძევება სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან.

5.8. იმისათვის, რომ ეთიკის კომისიამ დაადგინოს სასამართლოში ადვოკატ ბ. ბ.-ს ქცევა ეწინააღმდეგებოდა თუ არა ადვოკატის ეთიკურ სტანდარტებს, მნიშვნელოვანია გაირკვეს ადვოკატის მიერ სასამართლოში განხორციელებული მოქმედება საჭირო და აუცილებელი იყო თუ არა კლიენტის ინტერესის დასაცავად და ასეთმა მოქმედებამ ხომ არ გადალახა აზრის თავისუფლებისათვის დასაშვები ზღვარი, რაც ესეოდენ მნიშვნელოვანია ადვოკატისთვის მისი პროცესუალური როლის გათვალისწინებით.

5.9. ეთიკის კომისია სასამართლო სხდომის დარბაზში ადვოკატის ქცევის შეფასების დროს ითვალისწინებს ადვოკატის მიერ წარმოთქმულ განცხადებებს, იყო თუ არა ის შეურაცხმყოფელი ტერმინებით გადმოცემული ან/და განცხადებების გაკეთების დროს მის ტონი იყო თუ არა აგრესიული. სხდომის ოქმის ჩანაწერიდან არ დგინდება ადვოკატ ბ. ბ.-ს მიერ შეურაცხმყოფელი ფრაზების წარმოთქმა. ადვოკატი სხდომის მიმდინარეობის დროს წარმოთქმული ფრაზების მნიშვნელობითა და გამოთქმული ტონით აფიქსირებდა მის აზრს საქმის მიმდინარეობის პროცესში მოსამართლის დამოკიდებულების თაობაზე, რასაც ადვოკატი ეთიკის კომისიაში წარმოდგნილ განცხადებაშივე ადასტურებს. ადვოკატი აკრიტიკებდა მოსამართლის მოქმედებებს საქმის განხილვის მსვლელობასთან დაკავშირებით, რაც მოიცავდა მოცემულ საქმეზე მოსამართლის საქმიანობას და არ მის პროფესიულ ან სხვა თვისებებს. მოსამართლის კრიტიკა კი გამოწვეული იყო კლიენტის ინტერესების დაცვის განსახორციელებლად, ვინაიდან ადვოკატის აზრით მოსამართლე ბ. კ. მას არ აძლევდა კითხვების დასმის საშუალებას და მიკერძოებულ დამოკიდებულებას იჩენდა ბრალდების მხარის მიმართ.

5.10. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ბ. ბ.-ს ქცევა არ შეიძლება გახდეს მისი დისციპლინირების საფუძველი, ვინაიდან ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დასაცავად. მაშინ როდესაც, საქმის სამართლიანი განხილვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბოლოო გადაწყვეტილებაზე, ადვოკატ ბ. ბ.-ს მიერ გაკეთებული განცხადებები სწორედ მიმართული იყო საქმის სამართლიანი განხილვის მნიშნელობაზე და ამ საკითხზე მოსამართლისთვის ყურადღების გამახვილებაზე. მას საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნდა საკუთარი აზრის დაფიქსირება მიმდინარე პროცესზე და მოსამართლის ქცევაზე. მართალია, ადვოკატის განცხადებები იყო კრიტიკული, თუმცა დასაშვები კრიტიკის ფარგლებში გამოთქმული (ის არ იყო უხამსი ან/და მოსამართლის მიმართ მტრულად განწყობილი ფორმით გადმოცემული), რისი თმენის ვალდებულება მოსამართლეს გააჩნდა. შესაბამისად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მოქმედებები არ ეწინააღმდეგება ეთიკურ სტანდარტებს, რის გამოც ადვოკატ ბ. ბ.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №019/19 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ბ. ბ.-ს /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/